30/12/2024

MIA 8 24 021634-4

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო
კომისიის სხდომის ოქმი N4

სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
თია მელაძე

სატენდერო კომისიის წევრები:
მაია მანგოშვილი, აკაკი ხარებავა, დავით სამთელაძე, სოფიკო ვაჩეიშვილი, თენგიზ ხანიაშვილი, რატი მემანიშვილი, ილია აფციაური.

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული სპეციალისტები:
მაია ნასარაია, ბაჩანა საგანელიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
ნანა უგრეხელიძე

სხდომას არ ესწრებოდა სატენდერო კომისიის წევრი:
გია გორგიაშვილი - დაგეგმილი შეხვედრების გამო.

დღის წესრიგი:
შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებებში მონაწილე შს სამინისტორს მოსამსახურეების კვებით უზრუნველყოფის მომსახურების (CPV-55500000) **შესყიდვის მიზნით** 2024 წლის 08 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (აუქციონის გარეშე) (სატენდერო განცხადება: **NAT240021634)** შპს „ჰოსპიტალს ქეთერინგს სისტემსის“ მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის საკითხის განხილვა.

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ნანა უგრეხელიძემ სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 20 დეკემბრის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N3-ით მიღებული გადაწყვეტილებით **შპს „ჰოსპიტალს ქეთერინგს სისტემსის“** ხელშეკრულები ს შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოსადგენად, (ხელშეკრულების ღირებულების **5%-ის** ოდენობით) განესაზღვრა არაუმეტეს **5 (ხუთი)** სამუშაო დღე (არაუგვიანეს 2024 წლის 27 დეკემბრისა). აღნიშნულ პერიოდში **შპს „ჰოსპიტალს ქეთერინგს სისტემსის“** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ წარმოუდგენია.

განიხილეს:
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიის წევრთა განცხადებით, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **შპს „ჰოსპიტალს ქეთერინგს სისტემსი“** ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

კომისიამ დაადგინა:
1. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოხდეს **შპს „ჰოსპიტალს ქეთერინგს სისტემსის“** დისკვალიფიკაცია.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისათვის შეტყობინებად და პრეტენდენტს შეტყობინება გაეგზავნოს მიმდინარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის გზით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.
4. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №826 დადგენილებით განსაზღვრული წესის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის ("გასაჩივრება") მეშვეობით.

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
მანგოშვილი მაია

ლოჯისტიკის დეპარტამენტი
მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველო +
მარაგების უზრუნველყოფის სამსახური
სამსახურის უფროსი
საგანელიძე ბაჩანა

ლოჯისტიკის დეპარტამენტი
მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველო +
სამმართველოს უფროსის მოადგილე
ნასარაია მაია

ლოჯისტიკის დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე
დავით სამთელაძე

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველო / ხელშეკრულებების უზრუნველყოფის
განყოფილება
მთავარი სპეციალისტი
უგრეხელიძე ნანა

ეკონომიკური დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო
ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილება
განყოფილების უფროსი
აფციაური ილია

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო
შესყიდვების სამმართველო / ბაზრის შესწავლის,
დაგეგმვისა და ანგარიშგების განყოფილება
განყოფილების უფროსი
მემანიშვილი რატი

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო
შესყიდვების სამმართველო
სამმართველოს უფროსის მოადგილე
ხანიაშვილი თენგიზ

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ვაჩეიშვილი სოფიკო

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
ხარებავა აკაკი

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
მელაძე თია